დამტკიცებულია აკადემიური საბჭოს 2023 წლის 28 დეკემბრის N13 და წარმომადგენლობითი საბჭოს 2023 წლის 29 დეკემბრის N5 სხდომის გადაწყვეტილებებით

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის
მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის
დებულება

თავი I. ზოგადი დებულებები

მუხლი 1. დებულების მოქმედების სფერო

1.1. ეს დებულება განსაზღვრავს მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის მიზნებსა და ამოცანებს, საქმიანობის ძირითად მიმართულებებს, სტრუქტურას, მართვის ორგანოებსა და პერსონალს, მათი არჩევის წესსა და უფლება-მოვალეობებს, ასევე ფაკულტეტის ფუნქციონირებასთან დაკავშირებულ სხვა საკითხებს.

1.2. დებულებას დეკანის წარდგინების საფუძველზე შეიმუშავებს ფაკულტეტის საბჭო და აკადემიური საბჭოს თანხმობით დასამტკიცებლად წარუდგენს უნივერსიტეტის წარმომადგენლობით საბჭოს.

მუხლი 2. მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის სტატუსი

2.1. მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტი (შემდგომში – ფაკულტეტი) არის ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ძირითადი სასწავლო-სამეცნიერო და ადმინისტრაციული ერთეული, რომელიც ახორციელებს სამეცნიერო-კვლევით საქმიანობას, სასერტიფიკატო და უმაღლეს საგანმანათლებლო საქმიანობას, უზრუნველყოფს სტუდენტთა მომზადებას ერთ ან რამდენიმე სპეციალობაში და მათთვის შესაბამისი კვალიფიკაციის მინიჭებას.

2.2. ძირითადი საგანმანათლებლო ერთეულის სახელწოდებაა მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტი, ხოლო ინგლისურ ენაზე – Faculty of Arts and Sciences. ფაკულტეტს აქვს უნივერსიტეტის რექტორის მიერ დამტკიცებული ბლანკი და ბეჭედი.

2.3. ფაკულტეტის საქმიანობა ეფუძნება უმაღლესი განათლების შესახებ საქართველოს კანონს, უნივერსიტეტის წესდებას, ნორმატიულ და ადმინისტრაციულ აქტებსა და უნივერსიტეტში მოქმედ წესებსა და რეგულაციებს.

2.4. ფაკულტეტის მისამართია: ქ. თბილისი 0179, ჭავჭავაძის გამზ. №32

თავი II. მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის
პრინციპები, მიზნები და საქმიანობის ძირითადი მიმართულებები

მუხლი 3. მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის მიზნები და ამოცანები

3.1. მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტი ხელმძღვანელობს ლიბერალური განათლებისა და აკადემიური თავისუფლების პრინციპებით და მიზნად ისახავს:

ა) განავითაროს, მართოს და განახორციელოს საბაკალავრო, სამაგისტრო, სადოქტორო და სხვა სახის პროგრამები;

ბ) ხელი შეუწყოს ახალი ცოდნის შექმნას ფაკულტეტის პროფილის შესაბამისი აკადემიური და გამოყენებითი კვლევების განხორციელებით;

გ) შექმნას სტუდენტებისათვის გამორჩეული აკადემიური გარემო, რომელიც მათ თავიანთი პოტენციალის მაქსიმალურად გამოვლენასა და კვალიფიციურ სპეციალისტებად ჩამოყალიბების პროცესში დაეხმარება;

დ) ხელი შეუწყოს ფაკულტეტის მიერ წარმართული სასწავლო და კვლევითი პროცესების ინტერნაციონალიზაციას საერთაშორისო აკადემიური პროგრამების განხორციელების, სტუდენტების, აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის გაცვლით პროგრამებში ჩართვის, ერთობლივი სამეცნიერო კვლევებისა და სხვა სახის საერთაშორისო პროექტებში აქტიური მონაწილეობის გზით;

ე) დააკმაყოფილოს პიროვნების ინტერესებისა და შესაძლებლობების შესატყვისი უმაღლესი განათლების მიღების, კვალიფიკაციის ამაღლებისა და გადამზადების მოთხოვნა და უზრუნველყოს სწავლისა და სწავლების აკადემიური თავისუფლება.

3.2. თავისი მიზნების შესასრულებლად მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტი:

ა) სტუდენტებს სთავაზობს აკადემიური და სხვა სახის პროგრამების ფართო არჩევანს და აძლევს მათ შესაძლებლობას, სწავლების თანამედროვე მეთოდების გამოყენებით მიიღონ უახლეს სამეცნიერო მიღწევებზე დაფუძნებული ცოდნა, რომელიც ადგილობრივ და საერთაშორისო დასაქმების ბაზრებზე კურსდამთავრებულთა კონკურენტუნარიანობის მყარი საფუძველია;

ბ) ხელს უწყობს საუკეთესო აკადემიური და პრაქტიკული გამოცდილების მქონე კადრების მოზიდვას და მათ შემდგომ პროფესიულ განვითარებას;

გ) ავითარებს ინტერდისციპლინურ და კვლევისა და სწავლების მაქსიმალურ ინტეგრირებაზე ორიენტირებულ საგანმანათლებლო პროგრამებს სწავლების სხვადასხვა საფეხურზე, ასევე თანამედროვე სტანდარტების შესაბამის სასერტიფიკატო და გადამზადების პროგრამებს;

დ) ქმნის სტუდენტებისათვის სწავლის, კვლევისა და თვითგანვითარებისათვის კომფორტულ გარემოს მათი ჩართვით უნივერსიტეტის საზოგადოებრივ და სამეცნიერო საქმიანობაში;

ე) ქმნის ხელსაყრელ გარემოს საკუთარი აკადემიური პერსონალისთვის პროფილურ სფეროებში სამეცნიერო საქმიანობის წარმატებით განსახორციელებლად;

ვ) ხელს უწყობს სტუდენტთა აქტიურ მონაწილეობას ფაკულტეტის საქმიანობასა და სამეცნიერო და კვლევითი პროექტებში;

ზ) ახორციელებს აქტიურ კომუნიკაციას საზოგადოების დაინტერესებულ ჯგუფებთან სამეცნიერო კონფერენციების, სემინარების, საჯარო ლექციების და სხვა სახის სამეცნიერო თუ პოპულარული ღონისძიებების საშუალებით;

თ) თანამშრომლობს ადგილობრივ კერძო და საჯარო და საერთაშორისო ორგანიზაციებთან სტუდენტების კვლევით პროექტებში ჩართვის, მათი პრაქტიკული უნარ-ჩვევების განვითარებისა და დასაქმების ხელშესაწყობად;

ლ) ხელს უწყობს საქართველოსა და სხვა ქვეყნების წამყვან აკადემიურ ცენტრებს შორის კავშირების დამყარებას როგორც ერთჯერადი პროექტების, ისე გრძელვადიანი სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი პროგრამების განსახორციელებლად;

მ) სასწავლო მიზნების განსახორციელებლად იყენებს არა მხოლოდ თავის, არამედ უნივერსიტეტის სხვა სტრუქტურული ერთეულების დაქვემდებარებაში არსებულ მატერიალურ ბაზასა და რესურსებს, მათ შორის, სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტებისა და ცენტრების მატერიალურ ბაზას, კვლევით და სასწავლო ლაბორატორიებს, სახელოსნოებს, სალექციო აუდიტორიებს, კომპიუტერულ კლასებსა და ბიბლიოთეკას.

თავი III. ფაკულტეტის სტრუქტურა

მუხლი 4. ფაკულტეტის სტრუქტურა

მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის სტრუქტურა მოიცავს:

ა) ფაკულტეტის მართვის ორგანოებს - ფაკულტეტის საბჭო, ფაკულტეტის დეკანი და ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური;

ბ) ფაკულტეტის მიერ შექმნილ დამხმარე ადმინისტრაციულ ერთეულებს – სასწავლო პროცესის განხორციელებაზე პასუხისმგებელი ერთეულები;

გ) ფაკულტეტთან არსებულ კვლევით, საგანმანათლებლო, სასწავლო მიზნებისთვის შექმნილ ცენტრებს, სამეცნიერო ინსტიტუტებსა და სხვა დამხმარე სტურუქტურ ერთეულებს;

დ) ფაკულტეტთან შეიძლება არსებობდეს ასევე დამოუკიდებელი სამეცნიერ-კვლევითი ერთეულები, რომელთა შექმნის წესი რეგულირდება უმაღლესი განათლების შესახებ კანონით, უნივერსიტეტის წესდებითა და საუნივერსიტეტო რეგულაციით.

თავი IV. ფაკულტეტის მართვის ორგანოები, მათი უფლებამოსილება და არჩევის წესი

მუხლი 5. ფაკულტეტის მართვის პრინციპები

ფაკულტეტი უზრუნველყოფს:

ა) ფაკულტეტის გადაწყვეტილებების, დეკანისა და ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელის ანგარიშებისა და ბრძანებების საჯაროობასა და მათ ხელმისაწვდომობას ყველა დაინტერესებული პირისათვის;

ბ) აკადემიური პერსონალისა და სტუდენტთა აკადემიურ თავისუფლებას;

გ) აკადემიური პერსონალისა და სტუდენტთა მონაწილეობას გადაწყვეტილების მიღებაში;

დ) თანასწორ მოპყრობას განურჩევლად პირის ეთნიკური კუთვნილებისა, სქესისა, სოციალური წარმოშობისა, პოლიტიკური თუ რელიგიური შეხედულებებისა და სხვა;

ე) სტუდენტებისათვის სწავლის, კვლევისა და თვითგანვითარებისთვის მაქსიმალურად მიმზიდველი გარემოს შექმნას;

ვ) სასწავლო კურსების, მოდულების, პროგრამების მომზადებასა და განხორციელებას სათანადო სამეცნიერო დისციპლინებში სწავლების სამივე დონისათვის (საფეხურისათვის).

მუხლი 6. ფაკულტეტის მართვის ორგანოები

ფაკულტეტის მართვის ორგანოებია: ფაკულტეტის საბჭო, ფაკულტეტის დეკანი და ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური.

მუხლი 7. ფაკულტეტის საბჭო

7.1. ფაკულტეტის წარმომადგენლობითი ორგანოა ფაკულტეტის საბჭო, რომლის შემადგენლობაში შედიან ფაკულტეტის აკადემიური პერსონალის მიერ არჩეული წარმომადგენლები, დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულიდან არჩეული წარმომადგენლები ასეთის არსებობის შემთხვევაში და სტუდენტთა თვითმმართველობის წარმომადგენლები.

7.2. ფაკულტეტის საბჭოს შემადგენლობა არჩევითია.

ფაკულტეტის საბჭოს შემადგენლობაში შედიან:

ა) აკადემიური პერსონალი შემდეგი წესის დაცვით:

ა.ა) როდესაც ფაკულტეტზე აკადემიური პერსონალის რაოდენობა არის 30 და 30-ზე ნაკლები, ფაკულტეტის საბჭოში შედის აკადემიური პერსონალის ყველა წარმომადგენელი.

ა.ბ) როდესაც ფაკულტეტზე აკადემიური პერსონალის რაოდენობა არის 30-დან და 120-ის ჩათვლით, ფაკულტეტის საბჭოში შედის ყოველი 10 აკადემიური პერსონალიდან არჩეული 2 წარმომადგენელი.

ა.გ) როდესაც ფაკულტეტზე აკადემიური პერსონალის რაოდენობა არის 120-ზე მეტი, ფაკულტეტის საბჭოში შედის ყოველი 10 აკადემიური პერსონალიდან არჩეული 1 წარმომადგენელი.

ბ) დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულიდან არჩეული თითო წარმომადგენელი, ასეთის არსებობის შემთხვევაში;

გ) სტუდენტთა თვითმმართველობის წარმომადგენლები.

7.3. ფაკულტეტის საბჭოში სტუდენტთა თვითმმართველობის წარმომადგენელთა რაოდენობა არის ფაკულტეტის საბჭოს შემადგენლობის 1/4.

7.4. ფაკულტეტის საბჭო:

ა) დეკანის წარდგინებით განიხილავს და უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელს წარუდგენს ფაკულტეტის ბიუჯეტს;

ბ) თავისუფალი და თანასწორი არჩევნების გზით, ფარული კენჭისყრით, სიითი შემადგენლობის უბრალო უმრავლესობით ირჩევს ფაკულტეტის დეკანს;

გ) დეკანის წარდგინებით შეიმუშავებს და აკადემიურ საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგენს ფაკულტეტის განვითარების სტრატეგიულ გეგმასა და საგანმანათლებლო პროგრამებს;

დ) დეკანის წარდგინებით შეიმუშავებს ფაკულტეტის სტრუქტურასა და დებულებას, წარუდგენს აკადემიურ საბჭოს განსახილველად, რომელიც დასამტკიცებლად წარედგინება წარმომადგენლობით საბჭოს;

ე) სიითი შემადგენლობის უმრავლესობით ირჩევს ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელს;

ვ) უფლებამოსილია, ფაკულტეტის დეკანის მიერ საქართველოს კანონმდებლობის დარღვევის, დეკანისათვის დაკისრებული მოვალეობების არასათანადოდ შესრულების ან/და დეკანისათვის შეუფერებელი საქმიანობის განხორციელების საფუძვლით, წევრთა არანაკლებ 1/3-ის მოთხოვნით განიხილოს დეკანის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის საკითხი. გადაწყვეტილება დეკანის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის თაობაზე მიიღება ფარული კენჭისყრით, სიითი შემადგენლობის უმრავლესობით. დეკანი ამ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ კენჭისყრებში არ მონაწილეობს. ამ საკითხებზე მიღებული გადაწყვეტილებების გასაჩივრება არ იწვევს სადავო აქტის მოქმედების შეჩერებას;

ზ) მონაწილეობს ფაკულტეტის საქმიანობასთან დაკავშირებულ სხვა პროცესებში, მათ შორის, კურსდამთავრებულთათვის კვალიფიკაციების მინიჭებაში, საგანმანათლებლო პროგრამებში ცვლილებების განხილვასა და დამტკიცებაში, სასერტიფიკატო და გადამზადების კურსების დამტკიცებაში და სხვა;

თ) ახორციელებს საქართველოს კანონმდებლობით მისთვის მინიჭებულ სხვა უფლებამოსილებას.

4. გადაწყვეტილება მიიღება დამსწრეთა უმრავლესობით, გარდა კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისას.

მუხლი 8. ფაკულტეტის საბჭოს სხდომის მომზადება და წარმართვა

8.1. ფაკულტეტის საბჭოს სხდომას იწვევს და თავმჯდომარეობს ფაკულტეტის დეკანი. ფაკულტეტის საბჭოს სხდომა შესაძლოა მოწვეულ იქნას ფაკულტეტის საბჭოს წევრთა არანაკლებ 1/3- ის ინიცირიებით.

8.2. ფაკულტეტის საბჭოს წევრებს წინასწარ უნდა ეცნობოთ სხდომის ჩატარების დროის, ადგილისა და დღის წესრიგის შესახებ.

8.3. ფაკულტეტის საბჭო უფლებამოსილია, თუ მას ესწრება წევრთა ნახევარზე მეტი.

8.4. ფაკულტეტის საბჭოს მიერ გადაწყვეტილება მიღებულად ითვლება, თუ მას მხარს დაუჭერს სხდომაზე დამსწრე წევრთა ნახევარზე მეტი მაინც, გარდა საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

8.5. ფაკულტეტის საბჭოს ყველა სხდომაზე დგება სხდომის ოქმი, რომელშიც უნდა მიეთითოს:

ა) მართვის ორგანოს დასახელება;

ბ) სხდომის ჩატარების დრო და ადგილი;

გ) სხდომის თავმჯდომარისა და დამსწრე წევრების ვინაობა;

დ) განხილვის საგანი;

ე) კენჭისყრის შედეგები;

ვ) მიღებული გადაწყვეტილებები.

8.6. ფაკულტეტის საბჭოს სხდომის ოქმს ხელს აწერენ ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარე და მდივანი.

მუხლი 9. ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური

9.1. ფაკულტეტი სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის, აგრეთვე მისი აკადემიური პერსონალისა და სამეცნიერო პერსონალის პროფესიული განვითარების

ხარისხის სისტემატური შიდა შეფასების მიზნით, განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის მუდმივი განვითარებისათვის იქმნება ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური.

9.2. ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური კავშირს ამყარებს და თანამშრომლობს საზღვარგარეთის ქვეყნებისა და მათი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების შესაბამის სამსახურებთან ხარისხის კონტროლის გამჭვირვალე კრიტერიუმებისა და მათი უზრუნველყოფის მეთოდოლოგიის ჩამოსაყალიბებლად.

9.3. ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ხელს უწყობს სწავლების ხარისხის მაღალი დონის უზრუნველყოფას სწავლის, სწავლებისა და შეფასების თანამედროვე მეთოდების (მოდულები, საკრედიტო სისტემა და სხვა) გამოყენებისა და ავტორიზაციის/აკრედიტაციის პროცესისათვის თვითშეფასების მომზადების გზით.

9.4. ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური შეიმუშავებს ფაკულტეტის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის შიდა შეფასების წესს და მას დასამტკიცებლად წარუდგენს ფაკულტეტის საბჭოს.

9.5. ფაკულტეტის დამოუკიდებელი სამეცნიერო კვლევითი ერთეულის სამეცნიერო კვლევითი საქმიანობის შიდა შეფასების წესი უნდა ეყრდნობოდეს სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის შეფასების საერთაშორისო სტანდარტებს (შეფასების პროცესში უცხოელ შემფასებელთა მონაწილეობა, სამეცნიერო ბიბლიომეტრიკის სხვადასხვა ფორმის გამოყენება და სხვა).

9.6. ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ფაკულტეტის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის საქმიანობას აფასებს ფაკულტეტის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის შიდა შეფასების წესის საფუძველზე.

9.7. ფაკულტეტის საბჭოს და დეკანს რეგულარულად აცნობს თავისი მუშაობის შედეგებს.

9.8. ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ანგარიშვალდებულია ფაკულტეტის საბჭოს, დეკანის და უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წინაშე.

9.9. ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს ყავს ხელმძღვანელი, რომელსაც ირჩევს ფაკულტეტის საბჭო.

მუხლი 10. ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელის არჩევის წესი

10.1. ფაკულტეტის საბჭო განსაზღვრავს ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელისათვის წასაყენებელ მოთხოვნებს და აცხადებს არჩევნებს. ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი უნდა იყოს

პროფესორი ან ასოცირებული პროფესორი.

10.2. შემოსულ განცხადებებს განიხილავს უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი და ფაკულტეტის საბჭოს წარუდგენს შერჩეულ კანდიდატურას/კანდიდატურებს.

10.3. ფაკულტეტს შეიძლება წარედგინოს ერთი ან ერთზე მეტი კანდიდატურა.

10.4. ფაკულტეტის საბჭო კანდიდატის/კანდიდატების წარდგენიდან არაუმეტეს 10 სამუშაო დღისა სიითი შემადგენლობის უმრავლესობით, ღია კენჭისყრით ირჩევს ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელს, რაც ფორმდება ფაკულტეტის/სკოლის საბჭოს გადაწყვეტილებით.

10.5. ფაკულტეტის საბჭოს მიერ კანდიდატის აურჩევლობის შემთხვევაში, ფაკულტეტის საბჭო აცხადებს განმეორებით არჩევნებს ამ მუხლის მოთხოვნათა დაცვით.

10.6. ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელის არჩევა ხდება 4 წლის ვადით.

მუხლი 11. ფაკულტეტის დეკანი

ფაკულტეტის დეკანი:

ა) უზრუნველყოფს ფაკულტეტზე სასწავლო საქმიანობის ეფექტურად წარმართვას;

ბ) ფაკულტეტის საბჭოს განსახილველად წარუდგენს ფაკულტეტის განვითარების სტრატეგიულ გეგმასა და საგანმანათლებლო პროგრამებს;

გ) შეიმუშავებს და ფაკულტეტის საბჭოს განსახილველად წარუდგენს ფაკულტეტის სტრუქტურასა და დებულებას;

დ) ფაკულტეტის საბჭოს განსახილველად და დასამტკიცებლად წარუდგენს ფაკულტეტის ბიუჯეტის პროექტს;

ე) თავისი კომპეტენციის ფარგლებში პასუხისმგებელია წარმომადგენლობითი საბჭოს, აკადემიური საბჭოსა და ფაკულტეტის საბჭოს გადაწყვეტილებების შესრულებაზე;

ვ) თავისი კომპეტენციის ფარგლებში გამოსცემს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტებს, გასცემს ცნობებს დაფაკულტეტთან დაკავშირებულ სხვა სახის ინფორმაციას.;

ზ) თავმჯდომარეობს ფაკულტეტის საბჭოს სხდომებს;

თ) საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, პასუხისმგებელია ფაკულტეტის ბიუჯეტის მიზნობრივ გამოყენებაზე;

ი) ახორციელებს საქართველოს კანონმდებლობით მისთვის მინიჭებულ სხვა უფლებამოსილებებს.

მუხლი 12. ფაკულტეტის დეკანის არჩევის წესი

12.1. ფაკულტეტის საბჭო ფაკულტეტის დეკანს ირჩევს ოთხი წლის ვადით. დეკანად შეიძლება აირჩეს ასოცირებული პროფესორი ან პროფესორი. დეკანის თანამდებობაზე ერთი და იგივე პირი შეიძლება არჩეულ იქნეს ზედიზედ მხოლოდ ორჯერ.

12.2. დეკანის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის ან დეკანის მიერ თავისი უფლებამოსილების შესრულების შეუძლებლობის შემთხვევაში, ფაკულტეტის საბჭო ნიშნავს დეკანის მოვალეობის შემსრულებელს, რომელიც უნდა აკმაყოფილებდეს დეკანისთვის წაყენებულ მოთხოვნებს.

12.3. დეკანის თანამდებობის დასაკავებლად კანდიდატების რეგისტრაციის დაწყების შესახებ განცხადებას ფაკულტეტის საბჭო აქვეყნებს საქართველოს კანონმდებლობითა და უნივერსიტეტის საარჩევნო დებულებით განსაზღვრული წესით.

თავი V. ფაკულტეტის პერსონალი

მუხლი 13. პერსონალი

ფაკულტეტზე არსებობს აკადემიური, ადმინისტრაციული, დამხმარე, კვლევითი პერსონალი და მოწვეული სპეციალისტები.

მუხლი 14. ფაკულტეტის აკადემიური პერსონალი

14.1. ფაკულტეტის აკადემიური პერსონალი შედგება პროფესორებისაგან.

14.2. პროფესორების შემადგენლობას მიეკუთვნება პროფესორი, ასოცირებული პროფესორი და ასისტენტ-პროფესორი, ასისტენტი.

14.3. პროფესორები მონაწილეობენ ან/და წარმართავენ სასწავლო პროცესსა და სამეცნიერო კვლევებს.

14.4 კვლევითი პერსონალი შედგება მკვლევარებისაგან. მკვლევრების შემადგენლობას მიეკუთვნება მკვლევარი, ასოცირებული მკვლევარი და ასისტენტ მკვლევარი.

მუხლი 15. ადმინისტრაციული, დამხმარე და მოწვეული (მასწავლებელთა და სხვა) პერსონალი

15.1. ფაკულტეტზე ადმინისტრაციულ თანამდებობებს მიეკუთვნება: ფაკულტეტის დეკანი, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი.

15.2. ფაკულტეტის დამხმარე პერსონალს მიეკუთვნება საშტატო ნუსხით გათვალისწინებული ფაკულტეტის საქმიანობისთვის აუცილებელი სხვა პირები;

15.3. ფაკულტეტის მოწვეულ პერსონალს მიეკუთვნება - მოწვეული სპეციალისტი - მასწავლებელი. მოწვეული პედაგოგი უფლებამოსილია გაუძღვეს სალექციო, სასემინარო და პრაქტიკულ სამუშაოებს აკადემიური თანამდებობის დაკავების გარეშე.

15.4. ფაკულტეტი უფლებამოსილია აკადემიური თანამდებობის დაკავების გარეშე მოიწვიოს შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე სპეციალისტები ან კვლევითი პერსონალი სასწავლო ან/და სამეცნიერო-კვლევით პროცესში მონაწილეობის ან/და ამ პროცესის წარმართვის მიზნით.

15.5. ფაკულტეტი უფლებამოსილია უნივერსიტეტის წესდებით გათვალისწინებული დამხმარე პერსონალის გარდა, გარკვეულ ამოცანათა შესასრულებლად შტატგარეშე დამხმარე პერსონალის სახით, შრომითი ხელშეკრულების საფუძველზე მოიწვიოს შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები. შტატგარეშე დამხმარე პერსონალის სამსახურში მიღებისა და გათავისუფლების წესს, მათ შრომის ანაზღაურების წესსა და ოდენობას, განსაზღვრავს უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელი.

თავი VI. ფაკულტეტის სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი პროცესი

მუხლი 16. სასწავლო პროცესი

16.1. ფაკულტეტზე სასწავლო პროცესი ხორციელდება უმაღლესი განათლების შესახებ კანონის, უნივერსიტეტის წესდების, ამ დებულების, მარეგულირებელი ნორმებისა და სასწავლო პროგრამის – კურიკულუმის მიხედვით, სწავლების ყველა საფეხურზე;

16.2. სასწავლო პროცესის წარმართვისას უზრუნველყოფილია მაქსიმალური აკადემიური თავისუფლება, რაც გულისხმობს კურსის ხელმძღვანელის თავისუფალ არჩევანს სასწავლო მეთოდების გამოყენების, ლიტერატურის შერჩევის, სასწავლო კომპონენტების განაწილების, სტუდენტთა შეფასების და სწავლების პროცესთან დაკავშირებულ სხვა საკითხებთან მიმართებაში;

16.3. სასწავლო პროცესში ჩართულია უნივერსიტეტისა და ფაკულტეტის აკადემიური პერსონალი და ასევე, მოწვეული პერსონალი;

16.4. სასწავლო პროცესის ადმინისტრირებას ახორციელებენ ფაკულტეტის დეკანი, ხარისხის სამსახურის უფროსი, ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალი, სასწავლო პროცესის კოორდინატორები და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური;

მუხლი 17. სამეცნიერო-კვლევითი პროცესი

სამეცნიერო კვლევითი პროცესის მხარდასაჭერად მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე არსებობს კვლევითი ერთეულები, რომლებიც წარმართავენ სამეცნიერო საქმიანობას პროფილურ სფეროებში და ფაკულტეტს ან აკადემიურ საბჭოს ყოველწლიურად წარუდგენენ მათი სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ამსახველ ანგარიშს.

თავი VII. უნივერსიტეტის ქონება, საფინანსო-საბიუჯეტო საქმიანობა

მუხლი 18. ფაკულტეტის ქონება და ბიუჯეტი

18.1. ფაკულტეტი სარგებლობს უნივერსიტეტის ქონებით, უნივერსიტეტის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად.

18.2. ფაკულტეტის დაფინანსების წყაროებია: საბიუჯეტო ასიგნებები, ცენტრების შემოსავლები, სამეცნიერო და/ან სხვა სახის გრანტები, შემოწირულობები, სამეურნეო საქმიანობით მიღებული და სხვა შემოსავლები, რომლებიც კანონით არის ნებადართული.

18.3. ფაკულტეტის ფინანსების განკარგვა რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით, უნივერსიტეტის წესდებითა და წინამდებარე დებულებით.

თავი VIII. დებულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა

მუხლი 19. დებულებაში ცვლილებების ან/და დამატებების შეტანის წესი

19.1. დებულებაში ცვლილებებისა და/ან დამატების შეტანის ინიციატივას ფაკულტეტის დეკანი წარუდგენს ფაკულტეტის საბჭოს, საბჭოს მიერ ცვლილების/დამატების პროექტის დამტკიცების საფუძველზე დეკანის წარდგინებით ცვლილება/დამატება შესათანხმებლად და დასამტკიცებლად წარედგინება აკადემიური საბჭოს. აკადემიური საბჭოს გადაწყვეტილება წარედგინება წარმომადგენლობით საბჭოს გადაწყვეტილების მისაღებად.

19.2. დებულებაში ცვლილების ან/და დამატების შეტანის შესახებ პროექტი უნდა იყოს დასაბუთებული და ასახავდეს ცვლილების ან/და დამატების შეტანის აუცილებლობას.